

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის
სპორტული საბჭოს დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1 საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭო (შემდგომში საბჭო) არის ფედერაციის სტრუქტურაში შემავალი, სპორტულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიმღები უმაღლესი ორგანო;

1.2 სპორტული საბჭო მოქმედებს საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კოდექსის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2. სპორტული საბჭოს სტრუქტურა (შემადგენლობა და ფორმირება)

2.1 სპორტული საბჭოს წევრთა რაოდენობას, შემადგენლობას და თავმჯდომარეს ამტკიცებს ფედერაციის გამგეობა;

2.2 სპორტული საბჭო უნდა შედგებოდეს მინიმუმ 5 (ხუთი) წევრისგან. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ წევრთა 2/3-ის მონაწილეობით. კენჭისყრისას ხმათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა;

2.3 სპორტული საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებელია და უზრუნველყოფს სპორტული საბჭოს გამართულ მუშაობას და ანგარიშვალდებულია სსსფ-ის მმართველი ორგანოს წინაშე;

2.4 სპორტული საბჭოს წევრი შესაძლოა იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც საბჭოს დამტკიცების მომენტისთვის შეუსრულდა 21 წელი;

3. სპორტული საბჭოს ფორმირების წესი

- 3.1 სპორტული საბჭო კომპლექტდება სსსფ-ის შემადგენლობაში არსებული ყველა მოქმედი კომისიის თავჯდომარისგან ან კონკრეტული კომისიის მიერ წარდგენილი კომისიის თავჯდომარის მოადგილისგან;
- 3.2 საბჭოს თავჯდომარედ შესაძლებელია არჩეულ იქნას ფედერაციის პრეზიდენტი;
- 3.3 ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი რომელიმე კომისიის მოთხოვნით, სპორტულ საბჭოში შესაძლებელია პროფილური სპეციალისტის შეყვანა, მაგრამ მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3 (სამი) ერთეულს;
- 3.4 საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების პერიოდს ასახელებს გამგეობა, რომელსაც გამოსცემს დამატებით დოკუმენტის სახით;

4. სპორტული საბჭოს ფუნქციები

- 4.1 საბჭო წარადგენს კანდიდატებს ფედერაციის სპორტული სასამართლოს შემადგენლობისთვის;
- 4.2 საბჭო ამტკიცებს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის მიხედვით ჩატარებული შეჯიბრებების წლიურ შედეგს;
- 4.3 სპორტული საბჭოს იურისდიქცია ვრცელდება შემდეგ საკითხებზე:
 - ა) სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის დამტკიცება შესაბამისი სარბოლო კომისიების (სატრეკო და არასატრეკო ტიპის რბოლების კომისიები) მიერ სპორტულ ღონისძიებათა რაოდენობრივი განაცხადების წარმოდგენის შემდეგ;
 - ბ) ორგანიზატორებზე ლიცენზიის გაცემის ან არ გაცემის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება;

- გ) ორგანიზატორებთან მიმართებაში სანქციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება თანახმად საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კოდექსისა შესაბამისი კომისიის წარდგინებით;
- დ) შესაბამისი კომისიის მიერ წარმოდგენილი შეჯიბრების ან შეჯიბრებათა ჯგუფისთვის სტატუსის განსაზღვრა ან/და მინიჭება;
- ე) იღებს გადაწყვეტილებებს მრბოლელების და სპორტული გუნდების მიერ ჩადენილი გადაცდომების შესახებ;
- ვ) ლიცენზირებული პირების (კომისრები, მარშლები ა.შ.) მიმართებაში

5. სპორტული საბჭოს გადაწყვეტილებები

- 5.1 სპორტული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
- 5.2 სპორტული საბჭოს ვალდებულია გამოაქვეყნოს მიღებული გადაწყვეტილებები სსსფ-ის ინფორმაციულ წყაროებში;

6. გარდამავალი დებულებები

- 6.1 სპორტული საბჭო უფლებამოსილია სსსფ-ს გამგეობის მიერ მისი დამტკიცების დღიდან, ახალი შემადგენლობის არჩევამდე;
- 6.2 საბჭოს შემადგენლობის დამტკიცება, გამგეობის მიერ, ხდება ერთი წლის ვადით. კომისიის წევრის გამოკლების შემთხვევაში, კომისიის უფლებამოსილების ამოწურვამდე, გამგეობის გადაწყვეტილებით ხდება კომისიის შემადგენლობის შევსება (დაკომპლექტება);

დამტკიცებულია სსსფ-ს გამგეობის მიერ:

07.11.2017 წელი.

სხდომის თავმჯდომარე:  /შოთა ავხაზავა/

სხდომის მდივანი:  /დავით მჭედლიშვილი/